1887

მარტი 18, ოთხშაბათი № 57

| თთვე | გაზ. მან. კ. | თთ | მ. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

კვირას, ამა მარტის 22-ს, დილის 11 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად მიცვალებულის, **გლეხის იოსებ დავითაშვილის** მოსახსენებლად მის ნაცნობთა და მისის ნიჭის-პატივის მცემელთა მიერ. (3—1)

ტფილისი, 17 მარტი

ღვინის შენახვისათვის უყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ თვითონ ყურძნის წვენსა ჰქონდეს უნარი გამძლეობისა ბუნებით დაყოლილი. ჩვენშიაც და ევროპაშიაც ეს ძალიან კარგად იციან. აქაც და იქაც ისიც ძალიან კარგად იციან, რომ გამძლეობა ბუნებურის ღვინისა სხვა-და-სხვა წამლებზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ თუ,—რა ჯურის ყურძნის წვენია ღვინოდ გარდაქმნილი და რა მიწაზეა გაჩენილი თვითონ ყურძენი. ჩვენში, მაგალითებრ, მიღებულია რომ რქაწითელი, მწვანე, რომელთაც ხშირად ფერისათვის მცვივანს ურევენ, ან მცვივანის ყურძნის ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრს გამძლე ღვინოს იძლევა, აგრეთვე წითელს გამძლე ღვინოს—წმინდა შეურეველი საფერავი. ეს კიდევ საკმაო არ არის, რომ ღვინის გამძლეობის იმედი იქონიოს კაცმა. დიდი საქმეა ისიც თუ—რომელს და რა თვისების მიწაზეა მოყვანილი ყურძენი. თუ რქა-წითელი, მწვანე, ან საფერავი მძიმე, ღრმად მოსახნავ თიხიან მიწაზეა,—ამათი წვენი უფრო გამძლე ღვინოს იძლევა, ვიდრე იგივე ყურძენი ქვიშიანს მიწაზედ მოსული. ეს ჩვენშიაც ისე კარგად იციან, როგორც ევროპაში. ამიტომაც ტყუილი ცდაა,—ყოველ ჯურის და მიწის ყურძნის ღვინოს გამძლეობა მიანიჭონ, თუ არ სხვა-და-სხვა წამლებით და მაშინ ბუნებურ ღვინოზედ ხომ ხელი უნდა აიღონ.

ჩვენ ღვინოებს სწამობენ, რომ გამძლეობა არა აქვსო, მალე ჰფუჭდებაო. ეს ბევრში მართალია, მაგრამ ეს უცოდინარობის ბრალი კი არ არის, არამედ იმისი რომ უფრო ბევრი ღვინო ჩვენში იმ მიწის ვენახებისაა და იმ ჯურის ყურძნისა, რომელნიც ბუნებითად გამძლე ღვინოს არ იძლევიან, თუ რაიმე წამლებით არ შეაზავე და ამ გზით ადრე და მალე არ გააფუჭე, ესე იგი, ბუნებური ღვინო წამლებით ნაკეთებ ღვინოდ არ გარდაჰქმენ. ჩვენ რომ ვსთქვით უძლეობა ჩვენის ღვინისა ბევრში მართალიაო, იმიტომა ვსთქვით, რომ ზოგში მართალი არ არის. ჩვენშიაც არის გამძლე თვისების ღვინო, საცა ჯურა ყურძნისა და თვისება მიწისა ამას ხელს უმართავს და შესწევს. არა ერთი და ორი ვენახის პატრონია ჩვენში, რომელსაც უცდია, რვა, ათი და მეტი წელიწადიც შეუნახავს ღვინო და დაუნახავს, რომ მის ღვინოს გაუძლია დიდხანს და ამ გაძლებაში უფრო გაკეთებულა ყველაფრით. ამისი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა და არის ჩვენში დღესაც. რატომ ყველა ღვინო არ არის ამისთანაო,—ამის თქმა და იმისი, რატომ ყველა კაცი ბისმარკი არ არისო—ერთი და იგივეა. უფრო ჭკუას ახლოა კაცმა ეს იკითხოს: თუ ეგრეა,—რატომ დიდის ხნით შესანახავად ღვინოს სულაც არ აყენებენო საბაზროდ? იმიტომ-რომ სართვა არ არის, რადგანაც რაც დღეისამდე ბაზარია ჩვენში სიძვირეს ამ გვარის ღვინისას ვერ აიტანს და არც მუშტარი ჰყავს.

აბა აიღეთ, მაგალითად, შემდეგი ანგარიში. შევინახე და გამოვაყენე, ვსთქვათ, ათის წლის ღვინო რიცხვით ოთხასი თუნგი, ესე იგი, ერთი კახური ურემი. იმისთანა ღვინო, რომელიც შესანახავად გამოდგება, ცოტად თუ ბევრად კარგი თავი ღვინო უნდა იყოს. ამისთანა ღვინოს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორმოც თუმნად გაჰყიდით ადგილობრივ ახლობაშივე, ესე იგი, ბოთლს ერთს აბაზად. ვინახე ეს ღვინო ათი წელიწადი. ჯერ მარტივი სარგებელი, თუნდ ექვსი რომ ვიანგარიშოთ, ათს წელიწადში ორმოც თუმანზედ ოცდა-ოთხს თუმანს შეადგენს; აღარას ვიტყვით რთულს სარგებელზედ, რომელიც თავნს თითქმის უსწორდება რვა წელიწადში, ესე იგი ათს წელიწადზედ ადრე. ჯერ ამ გზით ათს წელიწადს უკან იგი ერთი ურემი ღვინო სამოც-და-ოთხ თუმნად უნდა დამიჯდეს. ახლა ამისი მოვლა ამ ათს წელიწადში, ღვინის დაკლება გადაწმენდ-გადმოწმენდაში, ხარჯი, ჭურჭელის დახაფრება, ჭურჭელის რეცხვა და სხვა ამისთანა, ერთს ამოდენას თუ არ მეტს ესეც შეადგენს და ამ სახით ათს წელიწადს შემდეგ ჩემი ორმოც თუმნიანი ღვინო ასს თუმნად მიზის და თუ ბოთლი ადგილობრივვე ათს შაურად მაინც არ გავყიდე, მე ვერც ჩემს გასამრჯელოს-ღა ავიღებ, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელს ათს წელიწადში სულ თორმეტს თუმანს ვანგარიშობ, ვერც სარგებელს და თავნზედაც ძლივ-ძლივობით გამოვალ. აბა ერთი იკითხეთ: რომელი სულელი იქმნება, დღევანდელი ორმოც თუმნიანი ღვინო ათი წელიწადი ინახოს, რომ ასს თუმნად დაუჯდეს და მაშასადამე, ასს თუმნადაც რომ გაჰყიდოს, თითქმის არა მოიგოს-რა. თუნდ ამისთანა სულელი იყოს ვინმე, ახლა ამას აღარ იკითხავთ: სად არის ამისთანა ღვინის მსყიდველი? მაშინ, როდესაც ჩვენებური ბაზარი ამავ ღვინოს ახლობაშივე ბოთლს ერთ აბაზად ჰყიდულობს ალაგობრივ და თუ თვითონ ათს შაურზედ ნაკლებ გაჰყიდა, ჰზარალობს კიდეც,—იმედია განა თვითონ ეს ბაზარი ათს შაურად ბოთლს იყიდდეს ალაგობრივ? ათ შაურად ალაგობრივ ნაყიდი ბოთლი ხომ მანათ-ნახევრად უნდა გაჰყიდოს, ან სულ ცოტა—მანათად მაინც, რომ გამორჩომა ჰნახოს რამე. ვინ არის ჩვენში ამ ძვირის ღვინის მსმელი? ერთი ორიოდე კაცი, ისიც საგანგებოდ და არა საყოველ-დღეოდ. სულელობა და უგუნურობაა ორიოდე კაცზედ გაანგარიშებული, დაიმედებული საერო მრეწველობა რამე, მაგალითებრ, იმისთანა, როგორიც ჩვენში ღვინის მრეწველობა არის. ან რა ჭკუაა,—კაცმა ათის წლის ღვინო სვას მამასისხლად სასყიდი და ახლობაშივე სასიამოვნო და გაცილებით იეფს ღვინოს კი თავი დაანებოს! ეს უეჭველი შორ მხედველობა აქვს ჩვენებურს ღვინის მკეთებელსა, მარტო ჩვენებურს ბაზარზედ დღევანდლამდე დამოკიდებულს და ღვინოს ისე აკეთებს, რომ მალე იყოს სასიამოვნოდ სასმელი, რადგანაც აქ ჩვენში ღვინოს თითქმის მთელი ერი სვამს და ამის გამო დიდხანს დგომას არ ჰსაჭიროებს, მალე, თითქმის მეორე მოსავლამდევე ჰსაღდება. მთელი ჩვენი ღვინის ვაჭრობა ამ წინად დანახულს აზრზეა აგებული და ამიტომაც არც ერთს სირაჯს, არც ერთს ვაჭარს ღვინისას იმისი სამზადისი არა აქვს, რომ ღვინო მის სარდაფში ორი, სამი და ოთხი წელიწადი ინახებოდეს. რაკი ამდენს ხანს ღვინო გაუსყიდავი არ დაურჩება—რა ხელსაყრელია ამისთანა სამზადისი?

ამ ბოლოს ხანებში ჩვენებურმა ღვინომ ფეხი შედგა რუსეთის ბაზარში. ეს გარემოება, რასაკვირველია, ღვინის გამძლეობის თავდარიგს გააძლიერებს ჩვენში, რადგანაც იმ სიშორეზედ გადატანას ღვინისას ეხლანდელზედ მომეტებული გამძლეობა უნდა ჰქონდეს და ვაჭრობა ღვინისაც იქ, საცა, როგორც რუსეთში, ღვინოს მარტო შეძლებული კაცი სვამს, უნდა იმედოვნებდეს, რომ დახანებული

# ფელეტონი

## ცხოვრების წვრილმანები

### ხოფლის მასწავლებელი-ქალი

(მოთხრობა შჩედრინისა)

(დასასრული *)

აპრილში, მოულოდნელად, მემამულე თავის მამულში მოვიდა. ეს იყო ანდრია სტეფანეს-ძე აიგინი. იმისთვის მოვიდა, რომ ტყე გაეყიდნა და აღებულის ფულით ზაფხული საზღვარ-გარეთ გაეტარებინა. საქმე ადვილი გასათავებელი იყო, მაგრამ აიგინმა მაისამდე სოფელში დარჩენა განიზრახა, უფრო იმიტომ, რომ მოურავისთვის ანგარიში გაეწმინდა, ადგილობრივს მთავრობასთან მეგობრობა კვლავ განეახლებინა და სკოლა ენახულნა.

აიგინი იყო ახალგაზდა, ოც-და-შვიდის წლის კაცი, სუბუქის ჰკუის პატრონი და უდარდელი. პატარაობისას კუდად სწავლობდა, დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ მაინც განათლებულებში სდებდა თავსა და ამასთანავე, რადგან შეძლებული კაცი იყო, სკოლის მზრუნველობა უნდა ეკისრნა, როგორც დიდი მემამულე, სკოლას უნდა დახმარებოდა კიდეც, რომ დიდის მემამულის სახელი და აბრუ არ გასტეხოდა. მართალია, იშვიათად ინახულებდა ხოლმე თავის ქვეყანას, მაგრამ ყოველ წლიური შესაწირავი მისს სახელს კარგად იცავდა. იმას აქ ჰყავდა სანდო კაცი, რომელიც აქაურს ამბებსა და გაჭირებას ატყობინებდა; ბოლოს იფიქრებდა ხოლმე: „წავალ და ვნახამ, ჩვენში რა ამბავიაო!“ და კიდეც წამოვიდოდა.

სრულის ექვსის წლის მზრუნველობის განმავლობაში (ადრე დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება) აიგინმა ეს მეორედ ინახულა თავისი მამული. იმას ისე ეგებებოდნენ, როგორც განვლენიანს კაცს შეეფერება, და აგრძნობინებდნენ ხოლმე, რომ იმაზეა დამოკიდებული მთელის მაზრის სვე-ბედი. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ პატივს არა კისრულობდა, რადგან ჯერ კიდევ ცხოვრების სიამოვნების მორევში დასცურავდა.

ერთი სხვა სიკეთეცა ჰქონდა აიგინს: მოხდენილი ყმაწვილი-კაცი იყო, ლამაზად იცვამდა და ზრდილობიანად იქცეოდა. ერთი რამ აუშნოებდა აიგინს: მეტის-მეტი თამამი იყო და სათვალეებს მეტად უცნაურად ხმარობდა: წამ-და-უწუმ წაავლებდა ხოლმე ხელს და ცხვირზედ მიიკოსებდა.

მოსვლისათანავე აიგინმა სკოლა ინახულა („ეს ჩემი იმედიაო“, ამბობდა ხოლმე ხშირად). თან მოჰყვნენ: სასწავლებლის რჩევის წევრი, მღვდელი და მამასახლისი. სკოლის თავდარიგი აქო და თან ანნას ისეთ ნაირად ჩააშტერდა თვალებში, რომ რაღაც აგრძნობინა. როცა ემშვიდობებოდა, სთქვა: მე დიდად მესიამოვნება, რომ ამისთანა ლამაზი მასწავლებელია ჩემს სკოლაშიო. ხშირად სოფელში იმისთვის არ მოვდიოდი, რომ უცნაური და ქამი მასწავლებლები იყვნენ და ახლა კი ხშირად ვივლიო. ბოლოს დასძინა, რომ შენისთანა მასწავლებელი სამეუფო ქალაქში უნდა იყოსო, და იქ ადგილის შოვნასაც დაჰპირდა.

იმ დღეს სადილად მიიწვია ყველანი, ვინც სკოლის საქმეებში რაიმე მონაწილეობას იღებდნენ. რაღა თქმა უნდა, მათ შორის ანნაც იყო.

ამის შემდეგ აიგინი სკოლის ხშირი სტუმარი შეიქმნა, ყველა გასაკვეთის დროს კლასში იჯდა და ანნას თვალს არ აშორებდა. გამოთხოვების დროს ანნას ხელს ისე ნაირად მოუჭერდა ხოლმე, რომ საწყალს გულის ძგერა აუტყდებოდა და სისხლი უღელავდა. საზოგადოდ, აიგინი სიტყვის შეპარვით და ვრცელის მსჯელობით კი არ მოქმედებდა, უფრო თავისის წარმოსადეგობისა და სილამაზის იმედი ჰქონდა. ორივენი ახალგაზდები იყვნენ, ორივეში სიცოცხლე სდუღდა. აიგინმა ანნა ინახულა იმის პატარა ოთახში და ქება უთხრა: ძალიან კარგად მოწყობილხარ ამისთანა ფარღალალა სადგომშიო. ერთხელ კიდევ ასე ჰკითხა:

— რატომ ერთხელ ჩემთან არ შემოხვალ? გეშინიან?

— არა, არ მეშინიან, — უპასუხა ანნამ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— მაშ რატომ არ...

აიგინმა სიტყვა აღარ გაათავა, გარდაეხვია და ჩაჰკოცნა.

ამის შემდეგ ანნა ნასადილევს საშინლად იწოდა, თავადაც არ იცოდა, რა ემართებოდა. ერთსა და იმავე დროს კიდეც იტანჯებოდა და კიდეც სტკბებოდა, მაგრამ ცხადად-კი ვერაფერი წარმოედგინა. საშინლად აღელდა მთელი მისი არსება. მოუსვენრად დარბოდა, ვითომ ტანისამოსს ალაგებდა, ნივთებს იწყობდა და ნამდვილად-კი თითონაც არ იცოდა, რას შვრებოდა. ბოლოს, როცა დაბინდდა, ბიჭი მოვიდა და უთხრა: „ანდრია ჩაიზე გთხოვსო“. ანნამ იფიქრა: „უჰ, როგორ უცბად მოხდა ყველაფერიო“. და შემდეგ იგრძნო საშინელი გულის ტკივილი. სარკმელთან მივიდა, უნდოდა ცოტათი შუბლი გაეგრილებინა.

ნახევარ საათის შემდეგ ანნა აიგინთან იყო.

დიდხანს არ გასტანა მათმა „ვარდ-ბულბულიანობამ“, ერთის კვირის შემდეგ აიგინი ისევე უცბად წავიდა, როგორც უცბადვე იყო მოსული. აიგინი ანნას საიმისოდ არ ეფერებოდა, არც არაფერს დაჰპირებია, არც უთქვამს, რომ შევხვდებით როდისმეო; მხოლოდ ერთხელა ჰკითხა: „ხომ არაფერი გეჭირვებაო?“ რაღა თქმა უნდა, ანნამ ეს უთხრა, რომ არაფერი არ მეჭირვებაო. წასვლა რომ დააპირა, ანნასთან არც კი შესულა, მხოლოდ გზად

*) იხ. „ივერია“ № 55.

ღვინო იმის სარდაფში არ გაფუჭდება გაუძლეობის გამო. ნურვინ იფიქრებს, რომ ამ თავდარიგს ვერ შეუდგება ჩვენებური კაცი უვიცობის, უცოდინარობის გამო. ღვინის ხელი ამ შემთხვევისათვისაც ძალიან კარგად იცის ჩვენებურმა კაცმა და თუ ჩამოუვარდება ევროპიელს რაშიმე, მარტო იმაში, რომ მარგებელის ღვინის წამლობით საწამლავად გარდაქმნა გამძლეობისათვის არ იცის და მადლი ღმერთსაც, რომ ეგრეა.

ამ სახით გაბედვით დავარწმუნებთ ყველას, რომ თუ ჩვენებურს კაცს ბუნებურის ღვინის შენახვა ჰსურს დიდხანს, ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ თვითონ ღვინო უნდა აირჩიოს შესაფერის ჯურის ყურძნისა და იმ ვენახისა, რომლის მიწა ამ უნარს აძლევს ყურძნის წვენს ბუნებითად. ამას გარდა ისიც იცის, ამ შემთხვევაში რა გზით არის საჭირო ხელის შეწყობა და ისიც იცის, ბუნებურ ძალთა ღვინისას რა გაუბრუნდებს ხოლმე გზასა და რა უშლის მათს თავისუფალ მოქმედებასა ღვინის გასამძლეოდ. ამ ცოდნას გამოიყენებს კიდეც, თუ დაინახავს სარფას,—ამ ერთად-ერთს საეკონომიო სანატრელს ყოველის მრეწველობისას.

## ახალი ამბავი

*** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნად დ. მაჩხანელის თხზულება „ძმური სიტყვა“, რომელიც ამ წლის იანვარსა და თებერვალში ფელეტონებად იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების გამო დანიშნულს კომისიას უკვე გაუთავებია თავისი საქმე და ნაშრომი გარდაუცია ბანკის გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისათვის გადასაშინჯავადა. ნაშრომი ქართულადაც ითარგმნება და თავის დროზედ დაურიგდება ბანკის წევრთ. სხვათა-შორის კომისიას შეუდგენია პროექტი ბანკში მოსამსახურეთათვის კასის დაარსებისა.

*** როგორც ამბობენ, შაბათს ქართულს სათეატრო დასის არტისტი ბ-ნი ვ. გუნია გაჰმართავს ბანკის თეატრში სალიტერატურო საღამოს. ამ საღამოში მონაწილეობას მიიღებს, სხვათა-შორის, ჩვენი საუკეთესო არტისტი ბ-ნი კ. ყიფიანი, რომელიც ამ ხანად ტფილისში იმყოფება. როგორც გავიგეთ, კ. ყიფიანი წარმოადგენს ერთს სცენას შექსპირის ტრაგედიიდამ „მეფე ლირი“. ბ-ნი ტყვიაველი წაიკითხავს პოემას „დიმიტრი თავდადებული“, რომლის საუკეთესო ალაგები ცხოველ სურათებადაც იქმნება წარმოდგენილი.

*** საგარეჯოდამ გვწერენ, რომ აქეთკენ ძალიან გავრცელებულია ჴლექით ავად-მყოფობა. თითქმის ოჯახი არ არის, რომ ჴლექით ავად-მყოფი არ იყოსო. ზარალიც დიდი აქვს ამ სენს. საკვირველი ეს არის, რომ გლეხ-კაცობაშიაც ხშირია ეს საზარელი და წამალ-მიუკარებელი ავადობა, რომელიც ამასთანავე გადამდებიც არის. ზოგიერთს ოჯახში ორ-ორი და სამ-სამი ავად-მყოფობს ჴლექით, ბევრი იხოცება და ბევრს კიდევ აუცილებელი სიკვდილი მოელის. სასურველია გამოიკვლიონ ჩვენმა ნასწავლმა ექიმებმა და მკურნალებმა, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ აქეთკენ ასე ძრიელ გავრცელდა ეს სენი ამ სამოთხს წელიწადში. იქნება ისეთი რამ მიზეზია, რომლის ან მოსპობა და ან თავიდამ აცილება შეიძლებოდეს.

*** გორიდამ გვწერენ: თებერვლის გასულს სოფ. გარეჯვარში გარდაიცვალა კარალეთი მღვდლის შვილი მაქსიმე ფიქრიშვილი (მეტად სახელად ვასოს უძახდნენ). განსვენებული სწავლობდა ტფილისის სემინარიის მეხუთე კლასში და ძალიან რიგიანადაც სწავლობდა; მიცვალებული კარგის მიმართულებისა და საუცხოვო ხასიათების ახალგაზდა იყოვო.

*** ქართლიდამ გვატყობინებენ: მარტის რვამდის მშვენიერი დარები იდგა, მაგრამ უცბად მოიბარდნა, წვრილი, ჟუჟუნა წვიმა დაუშვა; მერე ამოვარდა ძლიერი დასავლეთის ქარი; ჰაერი გაცივდა და წვიმა თოვლად შესცვალა: 10 და 11-ს მარტს ბარად წასთოვლა, მაგრამ მთებში და ზემო-ქართლში, სურამისაკენ, საკმაოდ დიდი თოვლი ჩამოჰყარა. ამ ჟამად კი თბილი ამინდები დაიჭირაო.

## ტფილისის ქალაქის საბჭო.

(16 მარტის კრება, ორშაბათი)

**მოისმინეს წინა კრების განაჩენი.**

**ბ-ნი მაჩაბელი.** ეხლა წაკითხულს განაჩენში ბ-ნ დინგელშტეტის წინადადების გამო შესახებ ქვა-ფენილებისა წარსულის კრების განაჩენი ამ საგანზედ ისე არ არის მოყვანილი, როგორც იყო. ბ-ნ დინგელშტეტის მოხსენების გამო მე ის აზრი შემოვიტანე წარსულს კრებაში, რომ თვითონ ქალაქმა უნდა ივალოს ქვის დაგება იმ ქუჩებში, სადაც ხალხის დიდი მისვლა-მოსვლაა. მე დარწმუნებული ვიყავი, ამ კრებამ კენჭის ჩამოტარებით ჩემი აზრი შეიწყნარა, მაგრამ ეხლა წაკითხულის განაჩენიდამ ეს არა სჩანს და ისე ბინდ-ბუნდად მოხსენებულია ეს საგანი, რომ ჩემის წინადადებისა არა დარჩენილა-რა.

ქალაქის თავმა ამის გამო წაიკითხა განაჩენის იგი ადგილი, სადაც ეს საგანი მოხსენებულია და აღმოჩნდა, რომ კომისიამ უნდა იქონიოს სახეში მხოლოდ ის ქუჩები, რომელნიც ქალაქის მიერ გასაკეთებელია.

**ბ-ნი მაჩაბელი.** სიტყვები „ქალაქის მიერ გასაკეთებელია“ მე ისე მესმოდა, რომ ქალაქს **სახეში აქვს** ამ ადგილებში ქვა-ფენილების დაგება და არა მარტო თავის ხარჯით, გამგეობისაგან გასაკეთებლად ცნობილი და დანიშნული, რადგან ამ ადგილებში ქვა-ფენილების დაგება პირ-და-პირი მოვალეობაა ქალაქისა და ამისათვის არც საჭირო იყო, რომ გამგეობას ნება ეთხოვა საბჭოსაგან. თუ რომ სახლის პატრონებს ვალადა ესდებთ, უთუოდ ქვა დაჰფინონ თავიანთ სახლების წინ, მით ჩვენ თვითონ მოვალენიცა ვხდებით ჩვენის, ე. ი. ქალაქის სახლების წინაც ვიქონიოთ ქვა-ფენილები. წარსულს კრებაზედ იმას მოგახსენებდით, რომ აუცილებლად საჭიროა-მეთქი ქვა-ფენილების დაგება მთა-წმინდაში, ყველა აღმართებზედ, ავლაბარში, ვერის ხიდის ჩასავალში, „კიროჩნი“ ქუჩაზედ და სხვა. ვითხოვე კიდეც, რომ ეს საგანი კენჭის ჩამოტარებით გადაწყვეტილიყო. და თუ ეს ისე არ გადაწყვეტილა, როგორც მე ეხლა ვამბობდი, ვსთხოვ ბ-ნ ქალაქის თავს, ეს ჩემი მოხსენება მორიგ საგანთა შორის შეიტანოს საბჭოსადმი მოსახსენებლად.

ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საგნების განხილვას. უმეტესი წილი წვრილმანი საგნები იყო. უფრო საყურადღებო საგანი ბ-ნ **ბებუთოვის** მიერ მოხსენება იყო და ავლაბრის ქალაქის ადგილების იჯარადრად ყოფილთა საჩივარი ქალაქის გამგეობაზედ, რომ ეს ადგილები გამგეობამ ამ ბოლოს დროს ჩვენ ჩამოგვართვა და სხვა იჯარადრებს გადასცაო. პირველი მოხსენება:

**ბ-ნი ბებუთოვი.** 28 მაისს წარსულის 1886 წლისას ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება დამტკიცება სახელმწიფო რჩევის აზრისა იმის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურში გაყვანა კავკასიაშიაც შემოღებულ იქმნას და ამისათვის მოწვეულ იყვნენ ყველანი, გარდა მოსლემინებისაო. ამასთანავე ნაბრძანები იყო, რომ დაწესებულ იყოს ქალაქებში სამხედრო ბეგრის «პრისუტსტვიები», რომელნიც უნდა განაგებდნენ ჯარში გაყვანის საქმეებსაო. ბ-ნმა ბებუთოვმა განუმარტა კრებას ის აზრი, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ჩვენში სამხედრო საბეგრო წესები ბევრად შეცვლილია და ამ სამსახურის სიმძიმე ბევრად შემსუბუქებულია ჩვენის ხალხისათვისაო. „ჩვენი მოვალეობაა, სთქვა ბ-ნმა ბებუთოვმა, ვეცადოთ, რომ ხალხი გაუგებრად არ წასწვდეს ამ საქმეს, იცოდეს გარკვევით რა მოვალეობას იღებს თავის თავზე, როცა [illegible]ის. ამისათვის შე[illegible]დეგ[illegible]დება შემომაქვს: 1) გამოიცეს ქართულს და სომხურს ენაზედ „სამხედრო წესდებულებიდგან“ ამოკრეფილი საჭირო ცნობანი, ზედ დართვით 28 მაისის 1886 წლის უმაღლესის მუხლებისა: ა) რომ ჩვენში სამხედრო სამსახური ხამის წლის ვადით არის; ბ) რა შემთხვევაში ეძლევათ შეღავათი ამ ბეგრის გამო და გ) რომ სამსახური აქაურებს მარტო კავკასიაში უნდა ჰქონდეთ. 2) ეხლავე დაიბეჭდოს ცალკედ განცხადებები სამს ენაზედ (ქართულსა, რუსულ სა და სომხურზედ) და აქ გამოცხადებული იყოს ყველა ეს ზემოხსენებული და ამასთანავე ის მოვალეობანი, რომელნიც დადგენილი არის ჯარში გასულთათვის სამხედრო ბეგრის წესდებითა; და 3) მოვსთხოვოთ სასწავლებელთა გამგებელთ სია იმ მოსწავლეთა, რომელნიც თავის ხნოვანობით მოვალენი არიან ჯარში გა[illegible] სწავლის გამო, სანამ [illegible] ლას არ დაასრულებ[illegible] განთავისუფლებულნი [illegible] რისაგან.

**ბ-ნი ქალაქის თავი.** განცხადებაც ცოტას უშველის საქმეს. ჩვენ განზრახული გვაქვს ამ საქმის თაობაზედ მღვდელ-მთავრებს მივმართოთ თხოვნითა, რომ წირვის შემდეგ მღვდლებმა წაუკითხონ თავიანთ მრევლთა ამ წესდებიდამ ზოგიერთი მუხლი. ასე რომ მეორე ნაწილი თქვენის წინადადებისა ამ გვარად რომ შეგვეცვალა, ვგონებ რომ უკეთესი იქნებოდა.

**ბ-ნი იოანესიანი.** ცოტა უხერხოდ მოგვივა სასულიერო [illegible] რომ ჩვენი წესები ვა[illegible]რულებლად. ჩვენ შე[illegible]ვით ამ სასულიერო [illegible] რომ თავის მხრითაც იხმაროს რაიმე ღონე და ამ საქმის შესახებ ხალხში საჭირო ცნობები გაავრცელონ.

ავლაბრელების საჩივარის გამო ბევრი ბაასი იყო, მაგრამ საბჭომ მაინც არ შეიწყნარა ამათი საჩივარი და უყურადღებოდ დასტოვა.

კრება დაიწყო მე-9 საათზე და დაიშალა ღამის 11 საათზედ. დაესწრო 46 ხმოსანი.

---

გადმოხტა ეტლიდგან, ძალიან წყნარად დაუკაკუნა ანნას ოთახის სარკმელი და შესძახა: „ვნახავთ ერთმანერთსაო!“

ანნა უნებლიედ მოტრიალდა შესაგებებლად, მაგრამ თავი შეიმაგრა და მხოლოდ წყნარად გაუღიმა.

ასე ადვილად გაიმარჯვა აიგინმა. ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ არც იცოდა, თუ მისი საქციელი და ბოროტება ღირდა იმათ, რომ სვინიდისს დაეტანჯა. ფული ხომ აქლია და ანნამ არ აიღო—მეტი რა ექნა! მარტო აიგინი კი არა, ბევრი იქცევა ამ გვარად: ისიც კარგია, რომ ასე უდავიდარაბოდ გადარჩა. ალბად უზრდელი არა ყოფილა ანნა, რომ არც იტირა და არც საყვედური უთხრა.

მაგრამ მთელმა სოფელმა-კი გაიგო იმ საღამოების ამბავი. ახალგაზდა ყმაწვილები რომ შემოხვდებოდნენ ანნას, ჩაახველებდნენ, მოხუცებულები ეხუმრებოდნენ. ქალებს ეშინოდათ, ქმრებს გადაგვირევსო. სოფლის მწერალმა ერთხელ პირ-და-პირ ჰკითხა: „რა დროს მოვიდე, ქალოჯან, რომ მიმიღოვო?“—ამ დროს დროზდიც აქ იყო და უთხრა მწერალსა: „რაღას ეკითხები? მიდი, როცა გინდა—და ეგ უარს არ გეტყვისო!“

თვით მღვდელი, თუმცა კეთილი კაცი იყო, მაგრამ ესეც ჭკუას დაულაგდა და ერთხელ სადილზე გამოუცხადა:—მებრალები, ქალო, სულით და გულით ვსწუხვარ, მაგრამ მე, როგორც მოძღვარს, არ შემფერის...

ამისმა ცოლმაც გამოსთქვა თავისი მწუხარება და ორი-სამი ცრემლი გადმოაგდო თვალიდგან. მხოლოდ სკოლის მოსამსახურემ გაუწია ერთგულება. როცა ანნა, ფერ-მიხდილი და ძალა-გამოლეული, მღვდლის სახლიდგან შინ დაბრუნდა, მან უთხრა:

— არა უშავს-რა, მოითმინე. „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო.“ ხარშოს მეც გაგიკეთებ.

ამდენს უბედურობასთან ანნამ იგრძნო, რომ ჩქარა დედა შევიქნებიო და ერთბაშად საშიში უფსკრული წარმოუდგა თვალ-წინ. თვალები დაუბნელდა, თავ-ბრუ დაესხა; ხელ-ფეხი აუკანკალდა, გულმა წარა-მარად დაუწყო ფეთქვა და მხოლოდ ერთს რამესა ჰგრძნობდა ნათლად:

— „დავილუპეო“.

მის ბედზე ყმაწვილების დათხოვნის დროც მოვიდა და ანნა თავის ოთახიდგან გარედ არ გამოდიოდა. მაგრამ კარგად იცოდა, რომ ველარაფერი ღონე ვერ უშველიდა. „დავილუპეო“—ამ ერთს სიტყვაში იხატებოდა მთელი მისი მერმისიცა და მომავალიცა. მისმა დალუპვის ნიშნებმა მართლაც მალე იჩინა თავი. უქმე დღეებში, სოფლის ახალ-გაზდა ბიჭები შეგროვდებოდნენ ხოლმე მის სარკმლის წინ და დაჰყვიროდნენ:

— „დამძიმებულაო!“

მართალია, ერთი საშუალება ჰქონდა ამ უსიამოვნებისათვის თავი დაეხწია: დაჰმეგობრებოდა სოფლის მწერალს, ან დროზდს და ან სხვა გავლენიანს კაცს, მაგრამ ეს აზრი უარესად სტანჯავდა და არ იცოდა, რა მოეფიქრებინა: ოთახში დაბოდიალობდა, ხელებს იკვარჩხნიდა და თავს კედელზე ახეთქებდა; მუდამ დღე ამ ყოფაში იყო. ძილში საშიშარ სიზმრებსა ჰხედავდა.

საზაფხულოდ ლუდმილასთან მოინდომა წასვლა ქალაქში. ლუდმილას კარგად არც-კი იცნობდა. ერთს ღამეს ოცი ვერსი გაიარა, მთელი გზა რაღაცას ჰფიქრობდა და ისიც არ იცოდა, რად მიეშურებოდა. იდუმალი ხმა განუწყვეტლივ ჩასძახოდა:

«დაილუპეო!»

ლუდმილამ ანნა დიდის სიამოვნებით მიიღო, მაგრამ იმ წამსვე-კი მიხვდა, რომ „შემცდარაო“.

— ამისთანა საქმეში თავის გამართლება შეუძლებელიაო,—უთხრა ლუდმილამ.

ანნამ იგრძნო, რომ ხსნა აღარსად იყო.

— მომეხმარე, მიშველე!—შესტირა საწყალობელმა.

ლუდმილას შეებრალა. დაჰპირდა, რომ პანსიონის პატრონს ქალს შევეხვეწები, ეგებ «მორჩენამდე» მოსამსახურედ აგიყვანოსო.

— სწავლის დაწყობამდე მაინც არ აგიყვანს: რა ხელს მისცემს ტყუილად გასვას და გაჭამოს; მერე კი შეიძლება...

ამ დღეებში მაინც ვნახავ და პასუხს გაცნობებო,—დასძინა ლუდმილამ.

ამავე დილას ანნას ქუჩაზე შემოხვდა სასწავლებლის რჩევის წევრი, რომელმაც დაცინვით უთხრა:

— რჩევას შენზე ცუდი ამბავი აცნობეს, თუ მართალია და თავს „დანაშაულადა“ სცნობ, გირჩევ, რომ აღარ მობრუნდე.

ეს უთხრა, გაბრუნდა და წავიდა.

რამდენმამე დღემ გაიარა და ლუდმილამ არაფერი აცნობა: ან დაავიწყდა და ან ვერაფერი გაარიგა. სასწავლებლის რჩევიდამ არაფერი ამბავი არ მოსდიოდა. ბოლოს, სექტემბერი დადგა და სწავლა ხელ-ახლა დაიწყო, ანნა ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ კლასში მაინც მუყაითად დაიარებოდა. ყმაწვილებს გაგონილი ჰქონდათ, რომ ანნა «შემცდარაო»; საწყალი ქალი-კი ვერაფერს უბედავდა. სკოლაში შეიქნა ურიგობა, ჟღავილი, ზოგი პირ-და-პირ ეუბნებოდა: «დამძიმებულხარ»! ზოგი იძახდა, რომ ყველიერში ერთის მაგივრად, ორი მასწავლებელი გვეყოლებაო. დღითი-დღე მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესი შეიქმნა.

ნოემბერში, ბნელი და უმთვარო ღამეები რომ დადგა, მისი გული საშინელმა სევდამ მოიცვა და ამ სევდამ თან გადა[illegible]ნა. ერთს ღამეს გარედ გამოვიდა [illegible] წისქვილის წყლისკენ გასწია. წყა[illegible] მოჰქუხდა და ქარი [illegible] იტეხდა; საშინ[illegible] წვიმა იყო; [illegible]ნულის სარკმლის მინებიდამ სინათლე ძლივს გამოსჭვიროდა; ბორბლები დაემტვრია წყლის სიმძლავრეს; სიჩუმით და მწყვდიადით იყო მოცული არე-მარე. ანნა შუა ბოგირზე გაჩერდა და წყალში გადაეშვა.

ანნას სიცოცხლე დაილუპა, თითქმის გაუფურჩქნელად. დაილუპა ასე უაზროდ, უარაროდ და საშინლად.

სტ. ხოჯივანოვი

ქ. ქუთაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი, 9 მარტს. დიდგა გაზაფხული, მზე თან-და-თან გვიახლოვდება სამხრეთელებს, და ქუთაისში შეიქნა კიდეც ბანკის საარჩევანო მზადება. 22 რიცხვს დანიშნულია საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება. იქ ორი სანუკვარი ადგილი იხსნება, თავ-მჯდომარისა და დირექტორისა.

დღემდე მოსვენებულნი ვიყავით, რადგანაც ჩვენ, ქუთათურებმა საჯაროდ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენ შორის, გარდა სახელმწიფო მოხელეებისა, კაცი არ იპოვება ბანკის მართვის საქმეების მცოდნეო, ე. ი. გამოვაცხადეთ, რომ თუ არ სახელმწიფო მოხელეთა შორის, ქუთაისში არავინ იპოვება ფულის დათვლის მცოდნე (ასრე უნდა ავხსნათ, თორემ რა დიდი და რთული „აპრეციები" აქვს „კრედიტკას"). გამოვაცხადეთ და მივართვით ბ-ნს მინისტრს თხოვნა, რომ შეგვიწყნაროს და აწინდელს თავ-მჯდომარეს, ბ-ნ მალევსკის, ნება მიეცეს, მიუხედველად ახალის კანონისა, ორი ადგილი ეჭიროს, სახელმწიფო მოხელეთაც იყოს და ბანკის მმართველადაც. ჯერ ბ-ნ კავკასიის მთავარ-მმართველს მიმართეს, ხოლო როცა უარი მოუვიდათ, მაშინ პირ-და-პირ პეტერბურგში მიიწერნენ, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ.

დახე ჩვენს უბედობას! იქიდამაც უარი მოგვივიდა და ქუთათურებისთვის ახალი სჯულ-დება აღარ დაარღვიეს. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ის ღიმილი, რომელიც მოუვიდოდათ პეტერბურგში მოხელეთა, როდესაც წაიკითხავდნენ ქუთათურების თხოვნას; როგორ ჩაიცინებდნენ წვერში, როდესაც შეიტყობდნენ, რომ ის ქალაქი,—სადაც ექვსი წელიწადია „კრედიტკაა", სადაც ათი წელიწადი საადგილ-მამულო ბანკი მოქმედობს, სადაც თვით-მმართველობა არსებობს,—რომ ის ქალაქი ახლა საჯაროდ აცხადებს: ჩვენ ერთის კაცის და ისიც სახელმწიფო მოხელეს მეტი არა გვყავს, რომ ბანკის საქმეში გაგვიძღვესო. ჩვენ განვცვიფრდით ამ გარემოების გამო და უნებლიედ შევუდექით გამოკვლევას,...

— რაღათ აწუხებდით ტფილისს და პეტერბურგსაო, იკითხავთ თქვენ და იტყვით, სადღა იყო თქვენი მაღლად მყვირალი ინტელიგენცია, რომელმაც ამას წინად ისეთი ალიაქოთი ააყენა მთელს საქართველოში ბანკის თაობაზეო?

ინტელიგენცია დიახ სუფევს, მაგრამ როგორღაც ერთობ ყურ-ჩამოშვებული და განცალკევებულია და ამ ბოლოს დროს თურმე იმის გამოკვლევაშია, რომ ცივილიზაციამ უფრო მავნებელი საქმეები დაჰმართია კაცობრიობას, ვიდრე სასარგებლოვო,—ერთის სიტყვით, რუსის პოეტისა არ იყოს

И лишь съ трудомъ уразумѣла:
Что лучше? Пресса,
Или умно направленная плеть!

ვინაიდგან პეტერბურგიდამ უარი მოგვივიდა, ჩვენც უნდა დავმორჩილებოდით ჩვენს ბედს, ხელი აგვეღო ამ ფინანსისტზედ, გვეფიქრა ახალ თავ-მჯდომარის ამორჩევაზედ. და აი, როდის აირია მონასტერი... ვინ არ წამოჰყო თავი? ჭეშმარიტად საკვირველია ჩვენი საზოგადო საქმეების მიმდინარეობა! ჩვენ ყველა უბრალო მოხელეებსაც—ხარაზს, თერძს, დურგალს—ისრე არას შეუკვეთავთ, თუ არ მოვსთხოვეთ დიპლომი და იმის მოწმობა, რომ მათ თავიანთი ხელობა კარგად უსწავლიათ. თვით კანონიც არ აძლევს მათ ნებას უდიპლომოდ იმოქმედონ და ამ დღეებში განთქმული ჩვენებური „ხირურგები", ჭრილობის და იარების შეუდარებელნი ექიმნი, თურმანიძენი სასამართლოში მიიწვიეს, როგორ თუ თქვენ უდიპლომოდ ექიმობთო... ჩვენ კი იმ გვარ საქმეში, როგორიც ბანკის მართვაა, სადაც მიუცილებელი საჭიროებაა საპოლიტიკო ეკონომიის და იურისპრუდენციის ცოდნა, არც კი ვკითხულობთ, რა სწავლა და გამოცდილება მიუძღვით საფინანსო საქმეებში იმ ვაჟ-ბატონებს, რომელთაც ასრეთ თამამად ბანკის მოთავეთ ვირჩევთ.

ამას წინად ბბ-ნთ ჭყონიას და აკოფაშვილს, პატიოსანს მშრომელებს და მაღალის სწავლის მიმღებთ, არჩევანში ვიღაც „ნაპრიკაშჩიკალები" და ნამწერალი ამჯობინეს! თუმც მალე კი შეინანეს და „ნაპრიკაშჩიკალმა" უკვე ამოიძუა კუდი და ვადის გასვლამდე დაუტევა აქ სამსახურიდა და მეორემაც...—ღმერთმა ჰქმნას, იხეიროს, მაგრამ ჩვენ კი ურწმუნო თომასავით არა გვჯერა... ბანკის წაბორძიკება, თვით „კრახიც", ნამეტნავად საკრედიტო ბანკისა ადვილად შესაძლებელია; ამას გვიმტკიცებს რუსეთის ბანკების პროცესები, რომელიც თითქმის ყოველ კვირა ირჩევა სასამართლოებში.

ბანკს თუ ერთხელ ცუდად წაუვიდა საქმე, მერე ძნელი-ღაა მისი გამობრუნება. ჯანის სიმრთელეზე ნათქვამი, რომ ტანიდამ ბათმნობით გამოდისო და შიგ-კი მისხლობით ბრუნდებაო, ბანკის წარმოებაზედაც ითქმის. ჩვენ ნიადაგ უნდა იმას ვეცადოთ, რომ ბანკი არ შეირყეს, თორემ ამის გამობრუნება ადვილი აღარ იქნება და ამისათვის საჭიროა ბანკის მოთავეთ ღირსი, მცოდნე და წინ დახედული კაცები ამოვირჩიოთ.

ჯერ-ჯერობით ასახელებენ თავ-მჯდომარეთ ბბ-ნს დუკლაკს, ბაინდუროვს, თუმანიშვილს და აბულაძეს და დირექტორად—ბბ-ნთ ქუთათელაძეს, მურადაშვილს და აკოფაშვილს. ხმა ისმის, რომ ზოგიერთნი თვით ამორჩევისათვის არა საქებ საშუალებას ხმარობენო, აწუხებენ ნათესავებს, მოყვარეებს და ნაცნობებს, ვექილობის ქაღალდებით აიარაღებენ თავიანთ დასის წევრთ. ვისურვოთ, რომ ამ გვარი უღირსი საშუალება მოსპობილიყოს საზოგადო საქმეში და ქუთაისის საზოგადოების ღირსნი, ცოდნით და ზნეობით შესაფერნი კაცნი იქმნენ ამორჩეულნი ამ ბანკის მმართველებად.

ჩვენ სიხარულით მოველით ახლად დანიშნულს გუბერნიის მმართველს, ბ-ნს გროსმანს, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ყველა ემადლიერება. ადრინდელ გუბერნატორს გამოსათხოვრად სადილს უმზადებენ ბ-ნ დ. ბაქრაძის თაოსნობით; როგორც სჩანს იმ მოწოდებისაგან, რომელსაც ახლა კარ-და-კარ ატარებენ, ქალაქის საბჭოს აგრეთვე 600 მანეთი გადაუდევია ამ ნადიმისათვის.

ამ დღეებში ხმა დავარდა, ვითომც ერთი კიდევ ესრედ-წოდებული „საზრდო" შტო ემატებოდეს ამიერ-კავკასიის რკინის გზას; ეს შტო სამტრედიიდამ თუ კოპიტნარიდამ ხონს მიჰყავთ. საკვირველია, თუ ეს შტო ხონამდე, საიდამაც წამოსაღები მძიმე ტვირთი არა არის რა, „საზრდოდ" იცნეს, ნუ თუ ჭიათურამდე, შავის ქვის მადნებამდე, შტოს გაყვანა უფრო მეტს «საზრდო»-ს არ მისცემდა ამიერ-კავკასიის რკინის გზას,—იქიდგან ოთხი მილლიონი ფუთი მარტო შავი-ქვა იზიდება წელიწადში. ცილის-მწამებელნი ამბობენ, რომ ხონის გზაზე ერთი რკინის გზის ბუმბერაზი დაესახლა და იმან ისურვა რკინის გზით სიარული სახლამდეო.

აქ ძალიან მოეწონათ თ. ნ. დ—ის ფელეტონი ბ-ნ აშორდიაზე და იმისაგან შეთხზულ ახალ ენაზე. მოსაწონია, რომ თვით მეგრელს ლინგვისტიკაში განვითარებულს წინააღდეგობა გამოუცხადებია. ნუ თუ ბ-ნ აშორდიას არ გაუგონია, რომ საფრანგეთშიაც ყოველ მაზრაში თავის patois, „მდაბიო საჩიორს" — როგორც მეგრელები ეძახიან თავის კილოზე ლაპარკს—ხმარობენ, ასრე რომ მარსელელი პარიჟელს და ან გასკონელს ვერც-კი გააგონებს კარგად, მაგრამ არც პროვანსელი და არც გასკონელი არ იძახის, რომ იმის „პატოა" ენად გამოდგება და სასწავლებელსა და ლიტერატურაში უნდა იხმარებოდესო. ახლა გამოსულა ვიღაც აშორდია, რომელსაც, როგორც გაგვიგია, არავითარი ფილოლოგიური სწავლა არ მიუღია და ჰლამობს, ანბანი უნდა შევადგინო და სალიტერატურო ენად გავხადო მეგრული „მდაბიო საჩიორი"-ო. ერთი ამ ვაჟ-ბატონის მწყალობელი და მექომაგე, რომელმაც ინჩი არ იცის არც ქართულისა და არც მეგრულისა, კვეხულობს თურმე, რომ მე ვარ მოთავე ამ საქმისაო. ეტყობა, აქ სამეცნიერო ასპარეზზე ბაასობის საქმე არა ყოფილა,... იქნება თქვენ აგვიხსნათ, ბ-ნო რედაქტორო?!

განზე მდგომი სატირიკოსი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა არ უთქვამთ და რას არ ამბობენ ბისმარკზე და ეს კი არავის უხსენებია აქამდე, რომ ბისმარკი მაღალის აზრებითაც ყოფილა გატაცებული, რომ ბისმარკს კეთილი გული ჰქონია და მტრისათვისაც-კი სიკეთე ჰნდომებია.

აი, მაგალითად, რა ლაპარაკი ჰქონია ბისმარკს გამოჩენილ ლესსეპსთან, როგორც გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს კორრესპონდენტი მოგვითხრობს.

მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავსა,—უთქვამს ბისმარკსა, საფრანგეთი რომ ძლიერი ვნახო, და ამასთანავე ვისურვებ, რომ ჩემი სამშობლო ქვეყანაც აგრეთვე მძლავრი და სახელოვანი ყოფილიყოს. ეს იმიტომ მსურს, რომ ორივეს კარგად შეეზომათ თავიანთი ძალა და დაენახათ, რა განსაცდელში ჩაავდებდნენ თავიანთ თავსა, თუ ამ ორ სახელმწიფოს შორის კიდევ განხეთქილება და სისხლის ღვრა მოხდებოდა. თუ ჩვენ შორის მეგობრობა ჩამოვარდება, მაშინ რა ბედნიერი ვიქნები, რომ ერთს დღეს ამის თქმა შემეძლოს. რა სისულელე იქნება, რომ ჩვენ კიდევ ერთმანეთში ჩხუბი გავმართოთ. ეს ორი მძლავრი სახელმწიფო გართ, შევერთდეთ ერთად და მაშინ ჩვენ წინ ვეღარავინ გადაგვიდგება, მაშინ მთელის ქვეყნის ბატონები ვიქნებით. მაშინ ვეღარავინ გაჰბედავს ხელი გვახლოს და ჩვენ ერთად, შეერთებულის ძალით ვიშრომებთ ქვეყნის კეთილ-დღეობისა და საერთო განათლებისათვის.

როდესაც, ამ გვარად, ბისმარკს ქვეყნის ბედნიერებაზე გაუთავებია სიტყვა, მერე ფილოსოფიური ლაპარაკი ჩამოუგდია იმაზე, თუ რა არის მეგობრობა, თანასწორობა და კიდევ ბევრ ამ გვარ მაღალ საგნებზე ულაპარაკნია. შემდეგ უთქვამს:

საფრანგეთისა და გერმანიის შორის რომ ომი არ მოხდეს, ამისთვის აუცილებლად საჭიროა ორივეს თანასწორ მძლავრი ჯარები ჰყვანდეს. აი ამიტომ მიხარიან, რომ საფრანგეთის ჯარების მოთავედ ასეთი მხნე და ნიჭიერი გენერალია, როგორც ბულანჟე. უფრო გახარებული ვიქნები, როცა ამ ორს მეზობელს ერს ერთმანეთში შური და მტრობა აღარ ექმნებათ, როდესაც ეს ორი მძლავრი ერი ერთმანეთს ძმურად ხელს მისცემენ და ერთად იმოქმედებენ.

აი მართლა რომ ნატვრაშიაც შნო ჰქონია ბისმარკსა. მეტი-და გნებავთ: ბედნიერი ვიქნებით, რომ საფრანგეთი მძლავრი იყოსო, რომ საფრანგეთის ჯარს ასეთი ნიჭიერი გენერალი ჰყვანდეს, როგორც ბულანჟე, და ეს მძლავრი ერი გერმანიის მომხრე და მეგობარი იყოს, გერმანიასა ჰშველოდესო.

ჩვენ გვგონია, რომ უმთავრესი თავის ტკივილი ეს იყო ბისმარკისა, ლესსეპს რომ გრძელი სიტყვა ჩამოუგდო. რაც შეეხება ქვეყნის კეთილ-დღეობას და სხვა ამ გვარ მაღალ საგნებს, ვფიქრობთ, ბისმარკს ამაზედ იმიტომ დაუწყვია ლაპარაკი, რომ იცოდა ვისთანაცა ჰქონდა საქმე: აბა რით მოინადირებდა ბისმარკი ლესსეპსის გულს, თუ არ ამ გვარის ლაპარაკით, იმ ლესსეპსისას, რომელიც პანამისა და სუეზის არხებზე ჰფიქრობს და სულ მაღალ ფარდებში ჰფრინავს.

* * *

ბალკანის ნახევარ-კუნძული სწორედ წვრილმან ერების ბუდეა. ბოლგარების მიხედვით, დღეს სხვებმაც ამოიღეს ხმა და თავის თავს დაუფიქრდნენ. აი რას იწერება გაზეთ „Правительственный Вѣстникъ"-ის კორრესპონდენტი;

ბოლგარების მიხედვით, ვლახებიც (პატარა ერია ბალკანის ნახევარ კუნძულზე, მაკედონიაში) სიცოცხლეს იჩენენ და ცდილობენ, თავიანთი ეროვნობა აღადგინონ. ვლახებს აქამდინ წიგნები ბერძნულ ენაზე ჰქონდათ, როდესაც ვლახების ენა თითქმის სრულიად ჰგავს რუმინების ენასა. ამიტომ ვლახები ეხლა თხოულობენ, რომ ეკკლესიებში წირვა-ლოცვა, სკოლებში სწავლა სულ რუმინულს, ე. ი. სამშობლო ენაზე იყოსო.

იმავე ნახევარ-კუნძულზე ალბანელებიც ამასა ჰქადაგობენ თურმე დღეს, თავიანთი სამშობლო ენა შემოიღონ.

## უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Новости"-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდგან: ცანკოვის მომხრე დასს უთქვამს რიზა-ბეისათვის, რომ სარეგენტო მთავრობა მოლაპარაკებაზედ უარს არისო, რადგანაც სხვა-და-სხვა დასების მოთავენი არა სჩანან და იმათის მომხრეების შეკრებაც პროვინციიდამ შეუძლებელია ამის გამოო.

— იმავე გაზეთს აუწყებენ ვენიდამ, დეპეშით, რომ ვარნასა, რუშჩუკსა და ტირნოვს ძალიან ამაგრებენო. გურკოვიჩი სტამბოლიდამ სოფიას მიდისო.

— გაზ. „Standard"-ს სწერენ ვენიდამ, რომ ის ხმები, ვითომ სარეგენტო მთავრობა ცდილობს საერო კრებამ ბოლგარია თავისუფალ სახელმწიფოდ გამოაცხადოს, ტყუილიაო. საერო კრება შეიყრება მხოლოდ იმიტომ, რომ ახლანდელ მთავრობას ხელ-ახლად დაუბრუნოს ის უფლება, რომელიც აქამომდე ჰქონდაო.

— ბელგრადიდამ სწერენ გაზ. «Post»-ს, რომ პრინც ბატტენბერგის გოფმეისტერი, ბარონ რიდეზელი სოფიაში წავიდაო.

შვეიცარია. მართალია, ყველგან ლაპარაკობენ, რომ მშვიდობიანობა დამკვიდრებულიაო, მაგრამ ევროპიის პატარა სახელმწიფოებს სრულიად არა სჯერათ ესა და თითონაც ემზადებიან ყოველ შემთხვევისათვის, რადგანაც შიშობენ, რომ ერთმა გამარჯვებულმა ევროპიის გმირმა უცბად ჩვენც არა აგვიტეხოს-რაო. წარსულის წლის გასულს, როდესაც ბისმარკმა სთქვა, რომ ევროპაში საყოველთაო ომი დაიწყებაო, მას შემდეგ შვეიცარიაში ძრიელ დაფაცურდნენ და ომის სამზადისს შეუდგნენ. ახლა, როგორც სწერენ სამზღვარ-გარეთის გაზეთებში, შვეიცარია სრულიად მზად არისო; გაჭირებაში შვეიცარიას შეუძლიან საომრად 300,000 კაცი გამოიყვანოსო.

ბელგია და ჰოლანდია. ამ ორ პატარა სახელმწიფოს უფრო ძრიელ ეშინიანთ ევროპიის ომისა. შვეიცარიელები მთიან ადგილასა დგანან და ამიტომ იმათ უფრო ადვილად შეუძლიანთ გაიმარჯვონ, ვიდრე ბელგიელებს და ჰოლანდიელებს, რომელთაც ბარი ადგილი უჭირავთ და მტერს ყოველ მხრიდგან ადვილად შეუძლიან შემოესიოს ამ ქვეყნებს და ძრიელად ავნოს. ამიტომ ამ სახელმწიფოთ ძრიელ ეშინიანთ, მეტადრე ბელგიას, სადაც პაპის მომხრე დასისაგან შემდგარი სამინისტრო ხალხს თვალში ეკლად ეჩვენება და ამიტომ მოპირისპირე დასი ყოველ ღონის-ძიებასა ხმარობს, რომ მთავრობას ფული არ მიეცეს ჯარების მოსამზადებლადაო.

## გასართობი

საძნელო ანდერძი. ამას წინად პეტერბურგში გარდაიცვალა უძეოდ ერთის ექიმი ქვრივი და თავისი შეძლება (170,000 მანეთი) თავის ძმის-წულს ქალს უანდერძა. ანდერძში ერთი ძნელი პირობა ჩაურთო: „მიიღოს ჩემი ქონება ჩემმა ძმის-წულმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექიმს შეირთავს ქმრადაო. უკეთუ ჩემი ძმის-წული ამ პირობას არ შეასრულებს, ჩემი შეძლება მაშინ სხვა-და-სხვა სამადლო საქმეს მოახმარეთო". საცოდავმა ძმის-წულმა ამ ძნელის პირობის გამო ბევრი იტირა და ივაგლახა, რადგანაც გაგიჟებით უყვარდა ერთი ახალგაზდა აფიცერი, რომელსაც დაენიშნა კიდეც ქვრივის ძმის-წული. საქმრომ ბევრი აღარ იფიქრა, მიანება თავი სამხედრო სამსახურს, შევიდა საექიმო აკადემიაში და იქ უნდა დაამთავროს სწავლა, რომ შემდეგ ნება ჰქონდეს ჯვარი დაიწეროს თავის დანიშნულზე და მიიღოს იმისი დიდი სამკვიდროცა.

* *

ფულის შოვნაც ახე უნდა! ერთს ახალგაზდა თავადის-შვილს კოლოპულოს, ტომით ბერძენს, შეუყვარდა ახალგაზდა ქალი, რომელიც უმაწვილების მასწავლებლად თურმე იყო ახალგაზდა თავადის-შვილის ნაცნობის ოჯახში. მამამ ნება არ მისცა ჯვარის წერისა და ამას გარდა ისე მოახერხა, რომ არავის ფული არ მიეცა სესხად იმის შვილისათვის და თითონაც ერთს კაპეიკზედაც-კი უარს ეუბნებოდა. მამამ იფიქრა, რომ უფულოდ ჩემი შვილი ვეღარას გახდებაო, მაგ-

რამ მწარედ მოსტყუვდა, სიყვარული ძნელია. ამაზე ამბობენ: გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო. ათინაში ჩვეულებად არის თურმე, ვინც ეტლს დაიჭერს, მეეტლემ უნდა ზეთ მისცეს 5 დრახმი, ვითომ იმის ნიშნად, რომ დანიშნულს დროს უთუოდ მივა იქ, საცა უბრძანებენ. თავადის-შვილიც ადგა და ასზე მეტს მეეტლეს შეუკვეთა, ამა-და-ამ დროს ჩემს სახლთან მოდითო. ყველასაგან, რასაკვირველია, დაწყსებული ფული აილო. მეორე დღეს პირველად მოსულს ეტლში ჩასხდნენ ყმაწვილი ქალი და კაცი და გასწიეს. მოვიდნენ ახლა დანარჩენი მეეტლენი და იცდიან. ბოლოს შეიქნა ხმაურობა და ერთი ალიაქოთი. მოხუცებულმა თავადიშვილმა გაიღვიძა ამ ხმაურობაზედ და ვერ მიმხვდარიყო, რა ამბავია ამ ჩემს სახლის წინ, რა ორონ-ტრიალიაო. მოხუცებულს მალე აუხსნეს, რასაკვირველია, საქმე როგორც იყო. ახალგაზდა თავადიშვილმა-კი ჯვარი დაიწერა მასწავლებელს-ქალზე და ადრე იქნება თუ გვიან, მივა მამასთან, თავს შეაბრალებს და შეირიგებსო.

# დეპეშა

17 მარტი

პეტერბურგი. დაინიშნენ: სარატოვის გუბერნატორი ზუბოვი მათი უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარ მმართველის თანაშემწედ, დედოფალ მარიას უწყებათა ნაწილში, და ამასთანავე ებოძა «ტაინი სოვეტნიკობა»; უმთავრეს სამხედრო სამართლის სამმართველო განყოფილების უფროსი ბიკოვი-სამხედრო მთავარ-პროკურორის თანაშემწედ.

კიევი. ქალაქთან დანეპრში ყინული აღარ არის.

ხარკოვი. აქაურ მდინარეებში ყინული გადნა.

ვენა. აქ გაასამართლეს ანარქისტები და 13 კაცს გადუწყვიტეს ციხეში დამწყვდევა სხვა-და-სხვა ვადით, ერთის წლიდამ ოც წლამდე. ერთი ბრალდებული გაამართლეს.

სოფია. სარეგენტო მთავრობა ყველას არწმუნებს, რომ ამ ბოლოს დროს აღარაფერი მოქმედება არ განუზრახავთ შეამბოხეთა და არც არავინ დაგვიჭერიაო; დაჭერილია მხოლოდ ვიდდინის ციხის უფროსი იმის გულისთვის, რომ ბენდერევთან მიწერ-მოწერა ჰქონია და საქვეყნოდ მთავრობას რაღაცა მუქარას უქადდაო.

ლონდონი. პალატას წარუდგინეს კანონ პროექტი სასისხლო სასამართლოს სასჯელთა გამო ირლანდიისათვის: სასამართლოს მოხელეთ ნება ეძლევათ, მოისმინონ მოწმების ჩვენება იმ შემთხვევაშიაც, როცა ბრალდებული სასამართლოში არ მივა; ზოგიერთი საქმე შეიძლება ნაფიც მსაჯულების დაუსწრებლადაც გაირჩეს და გარდასწყდეს, საქმის წარმოება უნდა სწრაფი იყოს, საქმე შეიძლება ინგლისშიაც გაირჩეს; ბეჭდური სიტყვა კი ისევ თავისუფალი და ხელშეუხებელი დარჩება, იმ იმედით, რომ თვით კანონი გზას შეუკრავს ბეჭდურ სიტყვას და ამ სახით არ მიუშვებს, მონაწილეობა რამ მიიღოს აჯ-კაცობასა და ბოროტ მოქმედებაში.

### პეტერბურგის ბირჟა, 16 მარტს
### ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 29 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179¼ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 247½ |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 231¾ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | 97 | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობი საზო კადოებისა. | — » | 84½ | — » |

### „ივერიის" ფოსტა

დ. ყ—ლა. მე—მოს. თქვენი წერილი მეორე საგანზედ ვერ დაიბეჭდება ჩვენდა სამწუხაროდ. ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგისთანაებში საბუთიც უთუოდ უნდა ხელში გვქონდეს.

ერთ იმერელს მღვდელთაგანს. ჩვენცა გწუხვართ, მაგრამ თევზსავით პირი წყლითა გვაქვს სავსე. საყურადღებოა თქვენი წერილი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ვერ დაიბეჭდება.

ს. ნ—ი ლადო გ—ეს. აზრი კარგია და ლექსი კი ვერაფერი. უკაცრავად, რომ ვერა ვბეჭდავთ.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.
აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

18 დღე ოთხშაბათი. წმ. ეკირილ იერუსალიმელისა. კათოლ. ედუარდისა და იუსტასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მურისა (შიიტ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24.

19 დღე ხუთშაბათი. მოწ. ქრისანფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულა რაჯაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი
### ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | 3½ | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| სუკი. . . . | 14 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით—

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტოს გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ ი | თ | | დ | ი | ლ ი | თ |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს | ა ღ ა | მ ო | თ ი |
| | ს | ა ღ ა | მ ო | თ ი | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ ი | ს ი | თ | | ღ | ა მ | ი | თ |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს | ა ღ ა | მ ო | თ ი | | დ | ი | ლ ი | თ |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

**სმაილსის თვით განვითარება**

თარგ. ივ. როსტომაშვილისმიერ.

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო წიგნი

**„მოლაღური"**

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—4)

**თამბაქო და პაპიროსები**

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

**ძმათა ასლანიდებისა.**

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გაჭართ იმდენი დაუთმობთ თუთუნის ხყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—5)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში და ქუთაისში ახალი სახელმძღვანელო წიგნი სკოლებში და ოჯახში სახმარებელი.

ქართველი მწერლები

I

საბა-სულხან

**ორბელიანი**

ფასი 15 კაპ.

ამ წიგნში შეკრებილია საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები, ამოღებული „სიბრძნე-სიცრუის" წიგნიდამ; წინ წამძღვარებული აქვს წინა-სიტყვაობა და ვრცელი ბიოგრაფია ავტორისა. წიგნს აქვს სახეში დაეხმაროს მასწავლებლებს და მოწაფეთ ქართულს ენის და ლიტერატურის შესწავლაში. ყოველს ძნელ სიტყვას, რომელსაც-კი მოწაფე ჰპოვებს ამ წიგნში, განმარტება აქვს მიცემული იქვე სხოლიოში. ვინც ნაღდს ფულზედ დაიბარებს ამ წიგნს პირ-და-პირ გამომცემლისაგან არა ნაკლებ 10 ეგზემპლიარისა, მას 20% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ. Александровскій учительскій институтъ. М. А. Насидзе. (5—5)


Доз. ценз. Тиф. 17 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე